ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5429770

ნომერი: AR1828093

თარიღი : 25.05.2021

გაცემის თარიღი : 02.06.2021

გაცნობის თარიღი : 02.06.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, N 116;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თორნიკე გოგიჩაიშვილი პ/ნ 01017013910
- მთაწმინდის შეს.N8

ორგანიზაცია:

- სს "სილქნეტი" კოდი: 204566978

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 8 მ-მდე სიმაღლის მქონე ანძა, ანტენა, გაყვანილობისა და განათების ბოძი ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:
ვინაიდან ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ გაცემულია 2020 წლის 16 დეკემბრის №001043 მითითება სამშენებლო – სამართალდარღვევის საქმეზე, საჭიროა, დამატებით წარმოსადგენია მუნიციპალური ინსპექციის მიერ გაცემული დადგენილება სამშენებლო – სამართალდარღვევის საქმეზე და შესაბამისი დარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. ნაწარმოები მშენებლობის შესაბამისად საჭიროა განაახლოთ არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა.
ასევე წარმოდგენილ იქნეს სს სილქნეტის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი საპროექტო ფართის მიმართ და საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილ იქნეს მეიჯარის სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა. მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში თუ საპროექტო სამუშაოები დაგეგმილი გაქვთ საერთო საკუთრებაში არსებულ ფართზე წარმოდგენილ იქნეს მიწის ნაკვეთის ყველა მესაკუთრის სათანადო წესით დამოწმებული თანხმობები მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით თუ არ გაქვთ დაგეგმილი საერთო საკუთრებაში არსებულ ფართზე წარმოადგინეთ აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (საჯარო რეესტრში დაცული სახურავის გეგმა, ფართის ანაზომი და ა.შ)
შესაბამისად თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.